მოთხოვნები კონტრაქტორი ორგანიზაციების მიმართ, დიპლომატ ჯორჯიას ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოების კუთხით

HSDIP-082021-CONTRa

შინაარსი

1. ზოგადი მიმოხილვა 3
2. ტერმინთა განსაზღვრება 3
3. კონტრაქტორი ორგანიზაციის პასუხისმგებლობები 4
4. მოთხოვნები თანამშრომელთა სწავლების და ცოდნის ეფექტურობის კონტროლის შესახებ. 5
5. მოთხოვნები კონტრაქტორი ორგანიზაციის თანამშრომლების მიმართ 5
6. მოთხოვნები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მიმართ 6
7. მოთხოვნები გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის მიმართ 7
8. მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი 7
9. კონტრაქტორი ორგანისაზიის მხრიდან უსაფრთხოების ნორმების დარღვევა 8
10. ინციდენტისა და უბედური შემთხვევის გამოძიება 8
11. სახანძრო უსაფრთხოება 9

დანართი №1 9

1. ზოგადი მიმოხილვა

პროცედურა განსაზღვრავს შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ პირობებს შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის კუთხით, მისი კონტრაქტორი ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც კომპანიის ტერიტორიაზე ასრულებენ შენობა-ნაგებობებისა და დამხმარე ობიექტების მშენებლობას/სარემონტო სამუშაოებს, ტექნოლოგიური აღჭურვილობის რემონტს, რეკონსტრუქციებსა და სხვა სამუშაოებს/მომსახურებებს.

კონტრაქტორი კომპანიის გენერალური დირექტორი და წარმომადგენლები, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებს, უნდა გაეცნონ წინამდებარე პროცედურას და იხელმძღვანელონ დოკუმენტში განსაზღვრული პირობებით.

პროცედურა წარმოადგენს კონტრაქტორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართს და მასში განსაზღვრული პირობების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს კონტრაქტორი ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით კონტრაქტორი ორგანიზაცია ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება მასში განსაზღვრულ პირობებს.

2. ტერმინთა განსაზღვრება

კონტრაქტორი - ორგანიზიაცია, მათ შორის, ყველა მისი წარმომადგენელი, რომელიც ასრულებს ტექნოლოგიური აღჭურვილობის, შენობა-ნაგებობების მშენებლობას, სარემონტო ან/და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს (მომსახურებებს) შპს „დიპლომატ ჯორჯიასთან“ დადებული კონტრაქტის/ხელშეკრულების თანახმად.

ქვეკონტრაქტორი - ორგანიზაცია, რომელსაც ქირაობს კონტრაქტორი, დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად და რომელიც ოპერირებს დიპლომატ ჯორჯიას (დრობით, ან მუდმივ) საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

დამკვეთი - შპს „დიპლომატ ჯორჯია”

კომპანია - შპს “დიპლომატ ჯორჯია”

3. კონტრაქტორი ორგანიზაციის პასუხისმგებლობები

კონტრაქტორი ორგანიზაცია ვალდებულია:

3.1 დამკვეთის ტერიტორიაზე სამუშაოების შესრულებისას კონტრაქტორი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მისი და მის მიერ დაქირავებული ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციების თანამშრომლების მიერ შრომის უსაფრთხოებასთან, დასაქმებულების ჯანმრთელობასთან, სახანძრო უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობითა და კანონქვემდებარე აქტებით ასევე წინამდებარე დოკუმენტით (HSDIP-082021-CONTRa) განსაზღვრული დებულებების დაცვა.

3.2 სამუშაოების დაწყებამდე წარადგინოს დამკვეთის მხრიდან მოთხოვნილი დოკუმენტაცია, მათ შორის:

- კონტრაქტორ ორგანიზაციაში მოქმედი შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დანიშვნის ბრძანება, ან შესაბამისი სერვისის მომწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პერსონალის მიერ უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკასთან დაკავშირებული ტრენინგების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი და აღნიშნული ტრენინგების თემატიკა;
- დიპლომატ ჯორჯიას ტერიტორიაზე ხარაჩოს გამოყენების შემთხვევაში მისი მდგომარეობის ექსპერტული დასკვნა და კომპონენტების ჩამონათვალი;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ჩამონათვალი, რომლითაც პერსონალი სამუშაოების წარმოებისას იქნება უზრუნველყოფილი.

3.3 დამკვეთის ტერიტორიაზე სამუშაოების დაგეგმვის/შესრულების დროს იხელმძღვანელოს შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტებით.

3.4 სამუშაოების წარმოებისას გამოიყენოს გამართული მექანიზმები/ხელსაწყოები, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები აკმაყოფილებს სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების პირობებს და ახდენს უბედური შემთხვევების, ასევე პერსონალის/ინვენტარის დაზიანების პრევენციას.

3.5 უზრუნველყოს საკუთარი პერსონალი ინდივიდუალური დაცვის ყველა საჭირო საშუალებით (სპეც. ფეხსაცმელი, ჩაფხუტი, დამცავი სათვალე, რესპირატორი, სამონტაჟო ქამარი, სმენის დამცავი და სხვა). განახორციელოს აღნიშნული დაცვის საშუალებების მონიტორინგი და დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში დროული ჩანაცვლება.

3.6 აწარმოოს საკუთარი და ქვეკონტრაქტორის მუშაობის პროცესში მომხდარი ნებისმიერი სიმძიმის ინციდენტის/უბედური შემთხვევის შესახებ შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ინფორმირება (10.1).

3.7 კომპანიის ტერიტორიაზე კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ ახალი მექანიზმებისა და მანქანა-დანადგარების, ელექტრო და პნევმოინსტრუმენტების შეტანისას, აღნიშნულზე საქმის კურსში ჩააყენოს პირი, რომელიც დანიშნულია როგორც მოცემული კონტრაქტორი ორგანიზაციის მომსახურებების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი, რათა მან ჩაატაროს გამოსაყენებელი

ხელსაწყოების შრომის დაცვის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება.

3.8 კონტრაქტორის მხრიდან უცხოენოვანი მუშა ხელის გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია ბრიგადაში ასევე იყოლიოს ისეთი პიროვნება, რომელიც ფლობს ქართულ და უცხოენოვან პერსონალთან საკომუნიკაციო ენებს.

4. მოთხოვნები თანამშრომელთა სწავლების და ცოდნის ეფექტურობის კონტროლის შესახებ.

4.1 სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორი ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს უნდა ჩაუტარდეს შესავალი ინსტრუქტაჟი, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. თემატიკა განისაზღვრება შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით. თანამშრომელი სამუშაოზე დაიშვება მხოლოდ აღნიშნული ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ.

4.2 კონტრაქტორი ორგანიზაციის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია დაესწროს ორგანიზებულ ინსტრუქტაჟებს.

4.3 კონტრაქტორი ორგანიზაცია ვალდებულია დამკვეთს წარუდგინოს იმ თანამშრომლების ლიცენზია/სერტიფიკატი/დაშვება, რომელთაც შესასრუებელი სამუშაოსათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოეთხოვება სპეციალური ცოდნა.

4.4 შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარებისას კონტრაქტორი ორგანიზაციის მუშაკებს შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკით განსაზღვრული თემების გარდა უნდა გაეცნოს კრიტიკული დარღვევების ჩამონათვალი (დანართი #1). ასევე, შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებული რისკების რეესტრი, და აღნიშნული რისკებისგან თავის დაცვის გზები, ასევე კომპანიის მაშტაბით მოქმედი უსაფრთხო შრომის პოლიტიკა, გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის პოლიტიკა.

5. მოთხოვნები კონტრაქტორი ორგანიზაციის თანამშრომლების მიმართ

5.1 კონტრაქტორი ორგანიზაციის თანამშრომლებმა, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ დიპლომატ ჯორჯიას ტერიტორიაზე, უდნა გაითვალისწინონ და შეასრულონ დამკვეთის მოთხოვნები შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის კუთხით.

5.2 კონტრაქტორი ორგანიზაციის თანამშრომლები ვალდებულნი არიან:

- დაემორჩილონ დამკვეთი კომპანიის შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მითითებებს;

- დაემორჩილონ დამკვეთი კომპანიის დაცვის სამსახურის მითითებებს;
- დაემორჩილონ სამუშაო სივრცეში განთავსებულ უსაფრთხოების ნიშნებს;
- დაემორჩილონ წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ წესებს;
- სამუშაოების წარმოების პროცესში გაითვალისწინონ კრიტიკული დარღვევების ჩამონათვალი (დანართი #1).
- ისეთი საფრთხის დაფიქსირების შემთხვევაში, რომელმაც შესაძლოა მათ ან მესამე პირის ჯანმრთელობას მიაყენოს ზიანი, დაუყოვნებლივ შეატყობინონ დამკვეთის წარმომადგენელს შრომის უსაფრთხოების საკითხებში (შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს/კოორდინატორს), ან დაცვის სამსახურს.

5.3 დიპლომატ ჯორჯიას ტერიტორიაზე კონტრაქტორი ორგანიზაციის თანამშრომლებს ეკრძალებათ:

- ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც დამკვეთთან ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული;
- იარაღის, ალკოჰოლის, ნებისმიერი ტიპის ნარკოტიკული საშუალებისა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული სხვა ნივთიერებების შეტანა/შენახვა;
- სიგარეტის მოწევა ისეთ ადგილებში, სადაც ეს აკრძალულია;
- დიპლომატ ჯორჯიას კუთვნილი ქონების/ნივთების სამუშაო ტერიტორიიდან გატანა, წინასწარი შეთანხმების გარეშე.
- სამუშაოს შესრულების დროს მიღებული დაზიანების შესახებ ინფორმაციის დიპლომატ ჯორჯიას შრომის უსაფრთხოების წარმომადგენლისაგან დამალვა;
- ალკოჰოლური, ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში გამოცხადება;
- სამუშაო იარაღების/ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- ქმედებები, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს უბედური შემთხვევა.

6. მოთხოვნები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მიმართ

6.1 კონტრაქტორი ვალდებულია:

- უზრუნველყოს თავისი პერსონალი ყველა საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებით (3.4);
- არ გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის ისეთი საშუალებები, რომელთა მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს თანამშრომლების ქარხანა-დამამზადებლის მიერ განსაზღვრული ეფექტურობით დაცვას;
- არ დაუშვას საკუთარი თანამშრომლები სამუშაოზე, შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ამ საშუალებების დაზიანების ხარისხი ვერ უზრუნველყოფს მათ დაცვას ქარხანა-დამამზადებლის მიერ განსაზღვრული ეფექტურობით.

7. მოთხოვნები გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის მიმართ

7.1 კონტრაქტორი ვალდებულია:

- მოაგროვოს სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენი. დროებითი შენახვის პირობით შეინახოს იმგვარად, რომ ამან არ წარმოქმნას საფრთხე ტერიტორიაზე მოძრავი პერსონალისათვის;
- კომპანიის ტერიტორიაზე ქიმიკატების გამოყენების შემთხვევაში მოახდინოს რეზერვუარების/შეფუთვების შესაბამისად ეტიკეტირება და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოდ დასაწყობება;
- დროულად გაასუფთავოს ტერიტორია მის მიერ წარმოებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისაგან;
- აუნაზღაუროს დამკვეთს გარემოზე მიყენებული ზიანით გამოწვეული ზარალი, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ზიანი გარემოს მიადგა კონტრაქტორი ორგანიზაციის ბრალეულობით, ასევე აუნაზღაუროს დამკვეთს გარემოს დაცვასთან და ნარჩნების მართვასთან დაკავშირებით სახელმწიფოსგან დაკისრებული სანქციები, თუ აღნიშნული სანქციები გამოწვეულია კონტრაქტორი ორგანიზაციის საქმიანობით/ქმედებებით.
- აღმოფხვრას მისი ბრალეულობით ავარიის/ინციდენტის შედეგად გამოწვეული შედეგები გარემოზე;
- დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევის/ინციდენტის შესახებ, რომელსაც მოჰყვა გარემოს დაზიანება/დაბინძურება;

7.2 კონტრაქტორ ორგანიზაციას ეკრძალება:

- მის მიერ წარმოებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების, ასევე სახიფათო ნივთიერებების უმეთვალყურეოდ/მოუწესრიგებლად დატოვება;
- დიპლომატ ჯორჯიას ტერიტორიაზე ისეთი ქიმიური ნივთიერებების გამოყენება, რომელთა შეფუთვაზე არ არის დატანილი ქიმიკატის დასახელება.
- დიპლომატ ჯორჯიას ტერიტორიაზე, ან მის მიმდებარედ ნარჩენების თვითნებურად განადგურება.

8. მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი

8.1 ჩასატარებელი სამუშაოების კომპლექსურობიდან გამომდინარე კონტრაქტორი ოგანიზაციის ან/და შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ მხრიდან უნდა მოხდეს შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს სამუშაო ციკლს სრულად, ან ნაწილობრივ.

9. კონტრაქტორი ორგანისაზიის მხრიდან უსაფრთხოების ნორმების დარღვევა

9.1 კონტრაქტორი ორგანიზაციის მხრიდან უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში დიპლომატ ჯორჯიას მხრიდან შესაძლო ქმედებები:

- სამუშაოების შეჩერება მანამ, სანამ არ მოხდება შეუსაბამობის აღმოფხვრა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა;
- კონტრაქტორი ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ან პასუხისმგებელი წარმომადგენლის სავალდებულო გამოძახება სამუშაოების წარმოების ობიექტზე.
- კრიტიკული დარღვევების ჩამონათვალიდან (დანართი 1) დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, დამრღვევი თანამშრომელის სამუშაოებიდან სამუდამოდ ჩამოშორება.

9.2 დარღვევის აღმოფხვრის შემთხვევაში სამუშაოების წარმოების გაგრძელების ნებართვას გასცემს თანამშრომელი, რომელმაც მიიღო სამუშაოების შეჩერების გადაწყვეტილება, ან მისი უშუალო ხელმძღვანელი.

9.3 კონტრაქტორის მიერ საქართველოს შრომის დაცვის, სახანძრო უსაფრთხოების კანონქვემდებარე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების და/ან კონტრაქტორი ორგანიზაციების მომსახურებების უსაფრთხოების დებულების მოთხოვნების სისტემატიური (ორზე მეტი) დარღვევის შემთხვევაში, ასევე, ერთჯერადი დარღვევის შემთხვევაში, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ან გამოიწვია უბედური შემთხვევა, კომპანიას უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და სამუშაოს შემსრულებელს დააკისროს ამის შედეგად მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურება.

10. ინციდენტისა და უბედური შემთხვევის გამოძიება

10.1 კონტრაქტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამკვეთის წარმომადგენელს შრომის უსაფრთხოების კუთხით ნებისმიერი ინციდენტის შესახებ, რომელსიც დაკავშირებულია მისი ან ქვეკონტრაქტორის საქმიანობასთან და რომელმაც გამოიწვია, ან შესაძლოა გამოეწვია:

- სამუშაოების წარმოების სივრცეში მყოფი ადამიანების ნებისმიერი სიმძიმით ტრავმირება;
- დამკვეთის კუთვნილი ქონების ნებისმიერი სიმძიმით დაზიანება;
- გარემოს დაზიანება.

10.2 დამკვეთი უზრუნველყოფს სამუშაოების ფარგლებში მომხდარი შემთხვევის გამოძიებას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

11. სახანძრო უსაფრთხოება

11.1 კონტრაქტორი პასუხისმგებელია სახანძრო უსაფრთხოებაზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების ფარგლებში. ასევე, მისი თანამშრომლების ინფორმირებაზე/სწავლებაზე ამ კუთხით.

11.2 დაუშვებელია სამუშაოების მიმდინარეობისას საევაკუაციო გასასვლელებისა და საევაკუაციო გეგმების, ასევე ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებთან მისასვლელი გზების ბლოკირება.

11.3 დაუშვებელია ხანძრის ქრობის საშუალებების არამიზნობრივად გამოყენება.

დანართი №1

კრიტიკული დარღვევების ჩამონათვალი

1. სამუშაოების დაწყება სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეებისა და რისკების შეფასების გარეშე;
2. სამუშაოების დაწყება, სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეებისა და რისკების, ასევე შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის მიხედვით სწავლების/ინსტრუქტაჟის გავლის/ჩატარების გარეშე;
3. შესასრულებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი პერიმეტრის გადაადგილება შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ მხრიდან შესასრულებელ სამუშაოებზე ზედამხედველი პირის, ან დაცვის სამსახურისაგან ნებართვის აღების გარეშე:
4. შპს „დიპლომატ ჯორჯიას ტერიტორიაზე შესვლა ამისათვის სპეციალურად გათვალისწინებული შესასვლელების გვერდის ავლით:
5. მოწყობილობების, ან სატრანსპორტო საშუალებების სამანქანო გზებზე უმეთვალყურეოდ დატოვება;
6. სამუშაოების შესასრულებლად არაკვალიფიციური თანამშრომლების გამოყენება;
7. შემთხვევა, როდესაც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საჭიროა კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი (სერტიფიკატი, დაშვება, ა.შ) და პერსონალს არ გააჩნია ეს საბუთი.

8. სპეც. ტანსაცმლის, სპეც. ფეხსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის სხვა აუცილებელი საშუალებების გარეშე მუშაობა.
9. მუშაკის მიერ სამუშაო სივრცის თვითნებური გაფართოვება.
10. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების წარმოებისას შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნების უგულებელყოფა;
11. კომპანიის ტერიტორიაზე ალკოჰოლური ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ გადაადგილება;
12. კონტრაქტორი ორგანიზაციის მუშაკის მიერ დამკვეთის ქონებრივი საკუთრების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტის დადგენა.
13. ისეთი ინსტრუმენტის, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გამოყენება, რომლებიც არ შეესაბამება შრომის უსაფრთხოებასა და სამრეწველო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს.
14. დამხმარე საშუალებით ტვირთების გადაადგილება, რომელთა წონა აღემატება გამოყენებული მექანიზმების ტვირთამწეობას;
15. ტვირთების გადაადგილება ტვირთამწე მექანიზმებით მაშინ, როდესაც საშიშ ზონაში ხალხია;
16. სარემონტო, ტექნოლოგიურ მოედნებზე მასალების განთავსება, განთავსების წესების დარღვევით;
17. მოწევა გარდა იმ ადგილებისა, რომლებიც სპეციალურად ამისათვის არ არის გამოყოფილი.
18. მიწების (ტერიტორიის) დაბინძურება მათში დამაბინძურებელი ნივთიერებების (ნარჩენები, ნედლეული, მასალები, ჩამონადენები და ა.შ.) მოხვედრით.
19. წარმოქმნილი ნარჩენების, საშიში ნივთიერებების და მასალების შეგროვების, დროებითი შენახვის და შემდგომი გატანის წესების დარღვევა.
20. ინსტრუქტაჟებით დაფარული წესების უგულებელყოფა